საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე – კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ნ. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 16.09.2020

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 083/20

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ლ. კ.-ის მიმართ /სიითი N/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. კ.-სთვის დისცპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2020 წლის 16 სექტემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ნ. მ.-მ, რომელმაც მოითხოვა ადვოკატ ლ. კ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორმა განხილვის კოლეგიის სხდომაზე 2022 წლის 25 ივლისს წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება. საჩივრის ავტორის განცხადებით, 2017 წლის 29 დეკემბერს, მას შემდეგ, რაც უსამართლოდ გაათავისუფლეს ს. ხ. ს. ს. კ.-ის გენერალური დირექტორის თანამდებობიდან, იგი დაუკავშირდა ადვოკატ ლ. კ.-ს და სთხოვა საადვოკატო მომსახურების გაწევა. შეთანხმების შესაბამისად, ნ. მ.-მ ადვოკატზე გასცა მინდობილობა, რის საფუძველზეც მას შრომით დავაზე უნდა გაეწია წარმომადგენლობა კლინიკის წინააღმდეგ.

1.2 2018 წლის იანვრის ბოლოს ადვოკატმა ლ. კ.-მ შეტყობინება გაუგზავნა კლინიკას კომპენსაციის მოთხოვნის თაობაზე, რაზეც წერილობით ეთქვა უარი. ამის შემდგომ, ლ. კ.-მ თებერვლის თვეში შეატყობინა მომჩივანს, რომ კლინიკის წინააღმდეგ სარჩელი წარადგინა სასამართლოში. ერთი წლის ლოდინის შემდგომ, 2019 წელს მომჩივანი დაინტერესდა სასამართლოში მისი საქმის მიმდინარეობით, მათ შორის იმის თაობაზე, თუ ამ ხნის განმავლობაში რატომ არ ინიშნებოდა სასამართლო სხდომა, რაზეც ადვოკატისგან მიიღო პასუხი, რომ მის საქმეს განიხილავდა მოსამართლე ა. ჩ. და პროცესიც მალე ჩაინიშნებოდა. 2020 წლის მარტიდან მომჩივანი კვლავ დაინტერესდა, თუ რა მიზეზით არ ინიშნებოდა სასამართლო პროცესი, რაზეც ადვოკატისგან არადამაჯერებელ პასუხებს იღებდა, ამის გამო, მომჩივანმა გადაწყვიტა საკუთარი ძალებით, კლინიკის იურისტის დახმარებით, გაერკვია სარჩელის ბედი, რაზეც სასამართლოდან აცნობეს, რომ სარჩელი ჯერ კიდევ 2018 წელს იყო დახარვეზებული და განმეორებით არ ყოფილა წარდგენილი რაიმე განცხადება. ამ ფაქტით განაწყენებული მომჩივანის თხოვნით, ადვოკატმა 2020 წლის 17 ივლისს ნ. მ.-ს გადასცა საქმის მასალები, მათ შორის, შედგენილი სარჩელი, რომელიც მომჩივანმა სხვა ადვოკატის დახმარებით აგვისტოს თვეში წარუდგინა სასამართლოს და სხდომაც იანვრის თვეში ჩაინიშნა.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, მიუხედავად ადვოკატ ლ. კ.-ს მიერ სარჩელის წარუდგენლობისა, ხანდაზმულობის ვადა არ გასულა და ამ მხრივ, ზიანი მას არ მიდგომია. საჩივრის ავტორის განცხადებით, ის თავდაპირველად, სამსახურში აღდგენას ითხოვდა კომპენსაციასთან ერთად, როდესაც ლ. კ. წარმოადგენდა მის ინტერესებს, თუმცა ვინაიდან, სარჩელი მისი გათავისუფლებიდან - 2017 წლის დეკემბრის შემდეგ, 2020 წლის აგვისტოში მოუწია სარჩელის წარდგენა და მოითხოვა მხოლოდ კომპენსაცია. მომჩივანის განცხადებით, სხვა ადვოკატის ჩართულობით, მან სასამართლოში დავა მოიგო. ადვოკატმა მომჩივანს გარდა საქმის მასალებისა, დაუბრუნა ჰონორარის სახით გადაცემული 1000 ლარიდან 700 ლარი, მიღებული ჰონორარის 300 ლარის ფარგლებში ადვოკატმა სხვა საქმეზე, რაც ეხებოდა ხელშეკრულების შედგენას - გასწია საადვოკატო მომსახურება.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ის ენდობოდა ადვოკატს და მას არ უთქვამს, რომ „ამ საქმეს ვერ მოიგებდნენ“. საჩივრის ავტორის განცხადებით, მისთვის გაუგებარია ადვოკატის მითითება გ. ჰ.-ის საქმესთან დაკავშირებით, სადაც ნ. მ. მოწმის სტატუსით უნდა ჩართულიყო. აღნიშნულ საქმის წარმოების შესახებ ადვოკატის მიმართ მომჩივანს არ აქვს პრეტენზია და ის არ უკავშირდება იმ საქმეს, რაც უნდა ეწარმოებინა მას სასამართლოში.

1.5 მომჩივანმა განხილვის კოლეგიის სხდომაზე დამატებით განმარტა, რომ ვინიადან ადვოკატის მიმართ გამოხატავს პატივისცემას, მისი მიზანი არ იყო ადვოკატის დისციპლინირება, არამედ მას სურდა მიეღო ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა მიზეზით არ მიაწოდა სწორი ინფორმაცია სარჩელის სასამართლოში წარუდგენლობის შესახებ, თუმცა აღნიშნულზე განმარტება ვერ მიიღო. საჩივრის ავტორის განცხადებით, მას უშუალოდ არ ჩაბარებია თავდაპირველი სარჩელის დახარვეზების შესახებ სასამართლოდან შეტყობინება და აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიიღო ადვოკატმა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2020 წლის 9 ოქტომბერს ადვოკატმა ლ. კ.-მ წარმოადგინა წერილობითი ახსნა–განმარტება. 2022 წლის 25 ივლისს განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება.

ადვოკატის განცხადებით, 2017 წელს გაცემული მინდობილობის საფუძველზე, მან როგორც ნ. მ.-ს წარმომადგენელმა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა სარჩელით, თუმცა გარკვეული ხარვეზის გამო სასამართლომ სარჩელი წარმოებაში არ მიიღო. აღნიშნული ადვოკატმა აცნობა მომჩივანს. ადვოკატის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ის დათანხმდა ამ საქმის წარმოებას, ნ. მ.-ს განუმარტა, რომ დირექტორთა საზოგადოება ურთიერთობს დავალების ხელშეკრულების ფარგლებში და შრომითი კანონმდებლობის მორგება ამ მხრივ შეუძლებელი იყო და შესაბამისად, განუმარტა, რომ საქმე პოზიტიურად არ წარიმართებოდა. ადვოკატის განცხადებით, რაც შეეხება დახარვეზებულ სარჩელს ის მას მომზადებული ჰქონდა და მის წარდგენას „არაფერი ედგა წინ". ნ. მ.-ს კატეგორიული მოთხოვნა არ ყოფილა სარჩელის განმეორებით წარდგენა. ადვოკატის განცხადებით, ის არამხოლოდ ზემოაღნიშნულ საქმეზე, არამედ სხვადასხვა საქმეზე და საკითხებზე უწევდა საადვოკატო მომსახურებას მომჩივანს და გასცემდა კონსულტაციებს. ადვოკატის განმარტებით, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რადგან საქმის წარმოება პოზიტიურ შედეგს ვერ მოიტანდა, მისი ინიციატივით ნ. მ.-ს დაუბრუნდა ჰონორარი და საქმის მასალები.

2.2 ადვოკატის განცხადებით, ნ. მ. ს. კ.-დან გათავისუფლების შემდეგ „გ. ჰ."-ის დირექტორის პოზიციას იკავებდა. ამ პერიოდში ადვოკატს მომჩივანის მეშვეობით დაუკავშირდა ჰოსპიტალის დამფუძნებელი გ. ც. ჰოსპიტალის საქმეზე საადვოკატო მომსახურების განხორციელების მიზნით. აღნიშნულ საქმეზე ადვოკატმა სასამართლოში წარადგინა შეგებებული სარჩელი, ერთ-ერთი „ძლიერი მტკიცებულება" კი ნ. მ.-ს მოწმის სტატუსით გამოკითხვა იქნებოდა, რაზეც ადვოკატს მომჩივანი დამთანხმდა, თუმცა შემდგომ უარი განაცხადა, რადგან აღმოჩნდა, რომ ნ. მ.-მ კვლავ შეიცვალა სამუშაო ადგილი და ის უკვე ჩართული იყო გ. ც.-ის წინააღმდეგ, დასაქმებულ პირთა მხარეს მოწმედ სხვა საქმეებზე, რომელზედაც გ. ც.-მ 2020 წლის ივნისის თვეში მიმართა ადვოკატს საქმეების წარმოების მიზნით. ადვოკატის განცხადებით, როდესაც მან აღმოაჩინა, რომ საქმე ნ. მ.-ს ინტერესებს კვეთდა, უარი განაცხადა ჰოსპიტალის ინტერესების წარმოდგენაზე.

2.3 ადვოკატი ლ. კ. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების, ,,sms სქრინშოთების" თაობაზე განმარტავს, რომ აღნიშნულის ნამდვილობას ვერც დაადასტურებს და ვერც უარყოფს, რომ არასდროს ყოფილა მიმოწერა მათ შორის მსგავსი ტექსტებით, ამასთან განმარტავს, რომ დასადგენია ამ მიმოწერების ავთენტურობა ექსპერტიზის ჩატარების გზით, რადგან მას მიმოწერები არ აქვს შენახული, თუმცა სარჩელი, რაზეც მიმოწერაში ნ. მ. უთითებდა ეს ეხებოდა გოჩა ცინცაძის, „მისი დამსაქმებლის პასუხს... და ხშირად კითხულობდა ამ საქმეს". ადვოკატის განცხადებით, ნ. მ.-მ თავად ურჩია გ. ც.-ს მისი თავი, ამიტომ იგი გრძნობდა პასუხისმგებლობას დამსაქმებლის წინაშე და ხშირად კითხულობდა მის საქმეს.

2.4 განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ სარჩელის დახარვეზების შესახებ სასამართლოდან დაგვიანებით ჩაბარდა შეტყობინება. ამასთან, განმარტა, რომ ისიც უდასტურებს პატივისცემას მომჩივანს და საადვოკატო მომსახურების გაწევის პერიოდშიც მათ შორის დადებითი ურთიერთობა ჩამოყალიბდა და სხვა საქმეებზეც უწევდა სამართლებრივ დახმარებას.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

2021 წლის 20 მაისს მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ლ. კ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ-ის) 8.6 მუხლის - ინფორმირების დარღვევის საფუძვლით.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

საჩივრის ავტორის, მოპასუხე ადვოკატის ახსნა-განმარტების, ასევე, საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დაადგინა შემდეგი ფაქტები:

4.1.1 2017 წელს ნ. მ.-მ მიმართა ადვოკატ ლ. კ.-ს საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით, რაც ეხებოდა მომჩივანის სახელით სასამართლოში სარჩელის წარდგენას შრომით დავასთან დაკავშირებით, ს. ხ.-ს ს. ს. კ.-ის მიმართ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. *მხარეთა ახსნა-განმარტებები;*
2. *მინდობილობა 29.12.2017;*

4.1.2 ადვოკატმა ლ. კ.-მ, როგორც ნ. მ.ს წარმომადგენელმა მიმართა სარჩელით თბილისის საქალაქო სასამართლოს, თუმცა სარჩელი არ იქნა მიღებული წარმოებაში ფორმალური გაუმართაობის გამო.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. *მხარეთა ახსნა-განმარტებები;*
2. *თბილისის საქალაქო სასამართლოს აქტი, 20.02.2018.*

4.1.3 მხარეთა შორის სადავოა მიაწოდა თუ არა ინფორმაცია ადვოკატმა ლ. კ.-მ მომჩივანს იმის თაობაზე, რომ მან სარჩელის დახარვეზების შემდეგ კვლავ მიმართა სასამართლოს. კერძოდ, მომჩივანი უთითებს, რომ აღნიშნულზე მას ჰქონდა ინფორმაცია ადვოკატისგან და შესაბამისად, ელოდებოდა საქმეზე სხდომის ჩანიშვნას. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, ადვოკატი განმარტავს, რომ მიუხედავად თავდაპირველი სარჩელის დახარვეზებისა, განმეორებით სასამართლოსთვის მიმართვის თაობაზე მას მომჩივანისგან მითითება არ ჰქონია. ამავდროულად, ადვოკატი უთითებს, რომ სარჩელი არაპერსპექტიული იქნებოდა და ამიტომ არ წარადგინა, თუმცა მიუხედავად ამისა, მას მომზადებული ჰქონდა სარჩელი განმეორებით სასამართლოში წარდგენისთვის.

4.1.4 კოლეგია მოცემული გარემოების შეფასებისას ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ მომჩივანმა ადვოკატს სწორედ სასამართლოში მისი საქმისწარმოების მიზნით მიმართა და შესაბამისად, მისი მოლოდინი იყო საქმის სასამართლოს გზით წარმართვა. განსახილველ შემთხვევაში, არ იკვეთება ის გარემოება, თუ რა საფუძვლით შესაძლოა გადაეფიქრებინა მას სარჩელის წარდგენა. აღნიშნული ადვოკატის პოზიციიდანაც არ ირკვევა. ამასთან, მიუხედავად ადვოკატის მითითებისა, რომ ის სხვა საქმეებზე „გ. ჰ.“-ს და შესაბამისად, მომჩივანს უწევდა სამართლებრივ დამხმარებას და ეს იყო მომჩივანის

ინტერესი, აღნიშნულს არ იზიარებს ნ. მ. და განმარტავს, რომ მისი ადვოკატისადმი მიმართვის მიზანი და შემდგომ მისი სამართლებრივი ინტერესი იყო პირადი შრომითი დავის დაწყება სასამართლოში. იმ ფაქტს, რომ მომჩივანის მოლოდინი იყო ადვოკატს მიემართა სასამართლოსთვის მის საქმესთან დაკავშირებით სარჩელით, ამყარებს ის გარემოებაც, რომ მან სარჩელის ადვოკატის მიერ წარუდგენლობის თაობაზე ინფორმაციის მიღების შემდეგ სხვა ადვოკატის ჩართულობით მიმართა სასამართლოს. კოლეგია ასევე მტკიცებულების სახით იზიარებს საქმეში არსებულ მიმოწერებს ე.წ. „სქრინშოტების“ სახით წარმოდგენილს, რომლის მიხედვითაც, ირკვევა, რომ ნ. მ. ადვოკატისგან მიღებული ინფორმაციის შედეგად ელოდება საქმეზე სხდომის ჩანიშვნას. 10.07.2020 ნ. მ. :„დღეს დარეკა იურისტმა სასამართლოში, მოსამართლე ა. ჩ.-ს თანაშემწეს ესაუბრა. საერთოდ არ იძებნება ნ. მ. - ხეჩინაშვილის საქმე. ორშაბათს კიდევ მოძებნის! სარჩელი შეტანილი გაქვს?“.

4.1.5 შედეგად კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა მომჩივანს აცნობა, რომ სარჩელი წარმოებაში იყო მიღებული, თუმცა მას მიმართული არ ჰქონდა სასამართლოსთვის.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და დაადგინა, რომ ადვოკატ ლ. კ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატ ლ. კ.-ს მიერ დარღვეულია ინფორმირების ეთიკური ვალდებულება:

„ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის ... შესახებ“. აპეკ-ის 8.6 მუხლი.

6.2 განხილვის კოლეგია იზიარებს დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის პოზიციას იმის თაობაზე, რომ ინფორმირების ვალდებულება, რომელიც კლიენტთან ეფექტიანი კომუნიკაციაა, ის გულისხმობს, არამხოლოდ, კლიენტის დროულ ინფორმირებას, არამედ, ინფორმაციის სრულყოფილად და გასაგები ფორმით მიწოდებას. ეთიკის კომისიამ კლიენტის ინფორმირების ვალდებულება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას დაუკავშირა 2012 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე 092/11, სადაც განმარტა, რომ ,,ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას, კლიენტი ჩართულია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და აქვს შესაძლებლობა, გონივრულად მართოს საკუთარი ქმედებები. ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს საკითხები ზედმიწევნით, რაც კლიენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები.“

6.3 კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატს არ ჰქონდა ეფექტური კომუნიკაცია მის კლიენტთან საქმის მიმდინარეობის შესახებ. მომჩივანმა თავისი ინიციატივით მიმართა სასამართლოს მოგვიანებით, ადვოკატისგან მიღებული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით და შეიტყო, რომ ადვოკატს მისი სახელით შრომით დავაზე განმეორებით სარჩელი არ წარუდგენია. კოლეგია განმარტავს, რომ საქმის თაობაზე ინფორმაციის მიღებისას, კლიენტი ადვოკატისადმი გამოხატავს ნდობას და შესაბამისად,

მისი მოლოდინია, რომ ადვოკატისგან სწორ ინფორმაციას მიიღებს. განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატმა არ შეასრულა საადვოკატო მომსახურებით გათვალისწინებული ვალდებულება - მან არ წარუდგინა სასამართლოს განმეორებით სარჩელი, იმისათვის, რომ ის თავდაპირველი დახარვეზებული სარჩელისგან განსხვავებით, მიეღოთ წარმოებაში და ამ ქმედების განუხორციელებლობის თაობაზე კლიენტს არ მიაწოდა სწორი ინფორმაცია.

6.4 არასწორი ინფორმაციის მიწოდება საფრთხეს უქმნის კლიენტის ინტერესებს და შესაძლოა, გამოუსწორებელი ზიანის მომტანი იყოს. მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად, იმისა, რომ ადვოკატის მიერ არაინფორმირებულობის შედეგად, მომჩივანმა რამდნეიმე წლის დაგვიანებით მიმართა სასამართლოს სარჩელით საქმესთან დაკავშირებით, მას აღნიშნულის გამო, ზიანი არ მიდგომია, თუმცა გასათვალისწინებელია ზიანის მიყენების საფრთხე, რაც მოცემულ შემთხვევაში არსებობდა ინფორმირების ვალდებულების დარღვევის გამო.

6.5 კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით განსაზღვრულია დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები: დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა, რომელიც არ არის სახდელი, სახდელის სახეები: გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა;

6.6 პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია „ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად... ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომიდინარე, საუბარია ადვოკატის პროფესიისათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრაზე. თუმცა ეს არ გამორიცხავს კლიენტისათვის მიყენებული ზიანის გათვალისწინების შესაძლებლობასაც“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 31.05.2018 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N098/17).

6.7 „ადვოკატის დისციპლინირების მიზანი არის არა მისი დასჯა, არამედ ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის პრევენცია, საზოგადოების დაცვა ადვოკატის არაეთიკური ქცევისაგან და პროფესიული ღირებულებების დაცვა, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის დამკვიდრებას“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

6.8 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს–შ/13–15 განმარტა, რომ „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“.

6.9 ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების მიზანს უნდა წარმოადგენდეს ეთიკური ვალდებულებათა დაცვის ფარგლებში კლიენტის ინტერესების საუკეთესოდ წარმოჩენა. მოცემულ შემთხვევაში, კოლეგია პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას ითვალისწინებს ადვოკატის

პიროვნებას, მის საქმიან და მორალურ რეპუტაციას, რაც მომჩივანსა და ადვოკატს შორის გამოხატული ურთიერთპატივისცემითაც დასტურდება და მის მიზანს არ წარმოადგენს დისციპლინური სახდელის რომელიმე მკაცრი ზომის გამოყენების მოთხოვნა. ასევე გასათვალისწიენებელია ის გარემოება, რომ მომჩივანს ადვოკატის მიერ არაინფორმირებულობის გამო ზიანი არ მიდგომია. და საბოლოოდ, სასამართლოში დავა მის სასარგებლოდ დაასრულა. შესაბამისად, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს დისციპლინური სახდელის დაკისრების საფუძველი. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ეთიკური ქცევის სტანდარტის დარღვევა სახეზეა, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, ადვოკატისთვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვას, რომელიც არ არის სახდელი და მისი მიზანია სამომავლოდ პროფესიული საქმიანობისას, ადვოკატმა მოახდინოს ეთიკური ვალდებულებების დარღვევის პრევენცია.

6.10 „კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა მხოლოდ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს და არა პასუხისმგებლობის ან სახდელის სახეს. კერძო სარეკომენდაციო ბარათი თავისი შინაარსით შეიცავს, მხოლოდ რჩევებს და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი ხელმისაწვდომია მხოლოდ ადვოკატისთვის“ (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 20.10.20 დისციპლინური საქმე 063/19).

6.11 კოლეგიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, შედეგად, კომისიამ დადგინა, რომ ადვოკატ ლ. კ.-ს მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისათვის პროპორციულ და სამართლიან პასუხისმგებლობის ფორმას წარმოადგენს დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება (კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა).

6.12 განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32.1, 34.2(ა), 36 მუხლებით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.6 მუხლით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 4.6, 19, 20, 33.11, 35, 38 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N083/20 დადგინდეს ადვოკატ ლ. კ.-ს /სიითი N/ მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.
2. ადვოკატ ლ. კ.-ს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
4. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
5. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/